№ 268 დეკემბრის 13, ხუთშაბათი. 1866—1884 დეკემბრის 13, ხუთშაბათი. № 268.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როსტომაშვილთან; გორში — ალალო თუთაევთან.

დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

ვაცნობებთ ნათესავთა და მახლობელთა, რომ წლის წირვა და საფლავის კურთხევა განსვენებულის კნეინა ნინო აფხაზისა დანიშნულია შაბათს, დეკემბრის 15-ს, დილის ცხრა საათზე იოანნე ღვთის-მეტყველის ეკლესიაში, ვერაზედ.

თ-დი ნიკოლოზ აფხაზი,
ელისაბედ საგინოვისა,
ილია ჭავჭავაძე.

(3—1)

## უყურადღებობის შედეგი

თბილისი, დეკემბრის 13-ს.

უეცრად მოვლინებული მტერი, რომელიც დიდ-ძალ ხალხსა ჰხოცავს სახლებსა და მინდორ-ყანებს ანადგურებს ისეთი საშიში არ არის, როგორც მტერი უჩინარი, რომელიც ჩრჩილსავით ჩასჯდომია რომელსამე ქვეყანას და შეუმჩნეველად ნელნელა ზიანს აძლევს. ამ გვარადვე შეიძლება თამამად ვსთქვათ, თუმცა იქნება ზოგთ ეს აზრი ახირებულად ეჩვენოთ, რომ უეცრად მოვლინებული ხოლერა, ჭირი და ჟამი იმდენს ზიანს არ აძლევს ხალხს, როგორც სამუდამოდ ჩაბუდებული ქუნთრუშა, ყივანა-ხველა, ყვავილი და სხვა ეპიდემიური სენნი, რომელთაც ჩვენი ხალხი „ბატონებს“ ეძახის და რომელნიც მართლა რომ ბატონყმისებურს ხარკს ითხოვენ ხალხისაგან.

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ პირველ ჭირთა შესახებ ევროპის სწავლულნი ჯერაც კიდევ სამეცნიერო ფარ-ხმალს ამტვრევენ და დაბეჯითებით ვერ უცვნიათ ბუნება ამ კაცობრიობის გამანადგურებელ მტერთა; სამუდამოდ ჩაბუდებულ სენთა ბუნება კი, ავად თუ კარგად, დიდი ხანია გაცნობილია და თითქმის შეიძლება რომელიმე ხალხის კულტურის მაჩვენებლად მოვიყვანოთ ის გარემოება, თუ როგორ ავზნიანებს ამ ხალხში ქუნთრუშა, წითელა, ყვავილი და სხვა ამ გვარნი სენნი.

შუა საუკუნოებში, როდესაც ჯერ აცრისა არავინ რა იცოდა, ეს სენნი და მეტადრე ყვავილი მუსრს ავლებდა ხალხს და ვისაც არა ჰკლავდა, სიკვდილამდე ისე ამახინჯებდა, რომ ბევრნი უმადურს სიცოცხლეს — სიკვდილსა რჩეობდენ. მაგრამ, რაკი აცრა იცნეს საუკეთესო საშუალებად ამ სენიდამ თავის დაფარვისათვის, ყველა ერთ, რომელთაც კი განათლებაში ფეხი უდგიათ, შემოიღეს იგი და ეს ისე აუცილებლად მიაჩნიათ, როგორც ახალდაბადებულის ბავშვისათვის ძუძუს-წოვება.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ დავიკვეხებთ, რომ ამ მხრივ ყოველისფერზედ გვეზრუნოს და ჩვენი ხალხისათვის ჩაგვეგონებინოს ის ღონისძიებანი, რა ღონისძიებითაც შეიძლება თავის დაცვა ამ საშინელ მტერთაგან. მართალია, ყოველ მაზრაში თითო ექიმია და ზოგში ორიც; ზოგან ამ ექიმებს თავიანთი ფერშლები და ამცრელებიცა ჰყავთ, მაგრამ ფაქტი კი ფაქტად რჩება: ყვავილი მძვინვარებს ჩვენის ქვეყნის თითქმის ყოველ კუნჭულში და რიგიანი საშუალება კი არსად არ არის მიღებული.

მართალია ჰიგიენის მხრივ ჩვენის გლეხ-კაცობის ცხოვრება ისეთია, რომ ამ პირობებში ძნელია ბრძოლა რომელ სენთანაც უნდა იყოს, მაგრამ რომ შემცირება მაინც შეიძლება, ამის ეჭვი არა გვაქვს.

მართლაც, ყოველს მაზრაში რომ რიგიანი ამცრელი იყოს, რომელიც მუდამ უხსნიდეს ხალხს აცრის საჭიროებას და თან მუდამ რიგიანი ახაცრელი ჩირქი იქონიოს; საექიმო საზოგადოებამ რომ იზრუნოს და გამოსცეს ჩვენსავე ენაზედ ხალხისათვის ადვილად გასაგები ბროშიურა და ამ ბროშიურაში აუხსნას მას, როგორც აცრის საჭიროება ისე მავნებლობა ხალხისაგან ხმარებულ ზოგიერთ ღონისძიებათა, როგორიც არის, მაგალითად, ჰაერის ამაღრჩოლებელი ბაზმა; რომ მარჯვედ მოექცენ იმ კუთხეს, სადაც პირველად ჩნდება ეს სენი და არავითარი საშუალება არ დაზოგონ მის ერთ ალაგას შესაჩერებლად და ჰიგიენურ პირობების გასაუმჯობესებლად.

თორემ ეხლა, თუ ამცრელია სადმე, ხშირად იმისთანა, რომელსაც თავის ხელობისა არა გაეგება-რა, და თუ გაეგება, ან ჩირქი უნდა შემოაკლდეს გაჭირვების დროს, ან უვარგისი გამოადგეს. ხალხს საუკეთესო საშუალებად ბაზმები და იავნანები ჰგონია და იმის მიმხვედრებელი არავინა ჰყავს არც სიტყვითა და არც წერით, რომ იავნანათი «ბატონების» დამწყალობება ძნელია და ეს «ბატონები» ისე ადვილი მოსატყუებელნი არ არიან, რომ ორ-გროშიან კაკლის ბაზმას დასჯერდენ და თავიანთ ნებით მოიწადინონ ამ «ბატონ-ყმურის» კავშირის მოსპობა, თუ აცრით, სუფთაობითა და წინ-დახედული ქცევით, ძალათი არ მოასპობინებინეს.

## შინაური ქრონიკა

== ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე იყო ლაპარაკი სამთავისის მშვენიერ სობოროს უბედურ მდგომარეობაზე. ამის გამო დაბარებულ სობოროს მღვდელს ე. ც—ძეს მიეცა ეგზარხოსისგან წიგნი ფულების მოსაგროვებლად. მღვდელს ამ რვა თვის განმავლობაში ოც-და-ხუთი თუმნის მეტი ვერ მოუგროვებია; ეხლა ეს მღვდელი ჩამოსულა თბილისში და ხელოსნების ამქრების თავს სთხოვს შემწეობას. ჩვენ გვესმის, რომ თ. ამილახვრები იყვედრებიან — ჩვენს საგვარეულო სასაფლაო ეკლესიას, ჩვენ მიერ აღშენებულს, ამისთანა დღე რად დაადგაო? ჩვენ მთა-ბარი, სახნავ-სათესი, ვენახები, ყმები შევსწირეთ ეკლესიას, 1816 წლამდე. უკანასკნელი სამთავნელი გერვასი მიტროპოლიტის გარდაცვალებამდე ეკლესია სავსე იყო ვერცხლეულით, თვალ-მარგალიტით, შესამოსელით და დღეს კი ეკლესია დაცლილია, შიგ აღარაფერიაო; მარტო სამთავნელის ბისონი, შაჰნაოზ მეფის ასულის თამარისაგან შეწირული, შეინახავდა სობოროს დიდ-ხანსაო; ეს ბისონი წაიღეს და ხუთ გირვანქამდე მარგალიტი აჰყარა დეკანოზმა ბ—ვმაო და გაცარცული ბისონი მაინც კიდევ თითით საჩვენებელ სამკაულს შეადგენს სიონის სალაროშიო. უსაფუძვლო არ არის ეს ყვედრება: საგვარეულო სასაფლაო ეკლესია თავის ავლა-დიდებით საგვარეულოს საკუთრებას შეადგენს ყველგან.

== მთავარ-მმართებლის თ-დ დონდუკოვ-კორსაკოვის თანხმობით, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან შესდგა ცალკე კომისია, რომელიც შეუდგა ამიერ კავკასიაში იმ ადგილების გამოკვლევას, რომელთაც წყალი და რწყვა ეჭირვებათ და აგრეთვე ადგილებისასაც, სადაც ჰავა მეტად ნოტიოა და წყალი უფრო ზარალს აძლევს მეურნეობას. კომისიამ ამ მუშაობის შემდეგ დაასკვნა, რომ ამიერ კავკასიის აღმოსავლეთისკენ წესიერის ირიგაციის დაწესებისათვის საჭიროა 4500 ვერსის სიგძის არხები იქმნას გაჭრილიო. ამ დასკვნათა გამო სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ამ ჟამად განიხილება პროექტი წესდებულებათა ხალხის მიერ წყლის მოხმარების უფლების შესახებ და აგრეთვე დაწვრილებით შემდგარი პლანი ამიერ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის ირიგაციისა.

== გორის მაზრის ოსეთიდამ გვატყობინებენ, რომ გერის ხეობაში ძალიან გავრცელებულა საქონლის ჭირი. ერთს სოფ. მიფარეთში ისე ამოიწყვიტა თურმე საქონელი, რომ სახლის პატრონებს, რომელთაც წინედ ოცი, ოც-და-ხუთი სული ძროხა და ხარი ჰყოლიათ, ეხლა ხუთიოდე-ღა დარჩენიათ. სენი უფრო თან-და-თან ვრცელდება და გადადის სხვა-და-სხვა სოფლებშიაცო.

== იქიდამვე გვწერენ, რომ ზოგიერთს სოფლებში (მაგ. ხათიხარში, ტეხაანთ-კარში და სხვ.) მძვინვარებს ყვავილი და რიგიანი ამცრელი კი არავინ ყოფილა. ერთი ვიღაც ოსი ბ. ჩ. უცრის თურმე და მისგან აცრილნი მორჩენის მაგივრად იხოცებიანო.

== დაბა ხონში გასულის ნოემბრის 9-ს უკურთხებიათ პირველ-დაწყებითი კერძო სასწავლებელი. სასწავლებლის საქმე ჯერ-ჯერობით კარგად მიჰყავსო მასწავლებელ ქალს ნ. დ—ას. დაბის მცხოვრებნი დიდის სიხარულით მიეგებნენ ამ სასწავლებელს, და მადლობას უძღვნიან იმ პირთა, რომელთაც მის გახსნას ხელი შეუწყვესო.

== სიღნაღიდამ გვწერენ: „ამას წინად თქვენს გაზეთში ეწერა, რომ ქალაქის ხარჯით მეიდანზე სამი ფიცრის დუქანი გააკეთეს, რომლის ქირაც ქალაქის გასანათებლად არის დანიშნულიო. სწორედ ამ აზრით არის გაკეთებული ეს დუქნები ანუ „პავილიონები“ მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ, თვეზე მეტია, რაც ეს «პავილიონები» გააქირავეს და სიღნაღის ოღრო-ჩოღრო ქუჩებს კი ისევ — სიბნელე გადაჰფარებია. ეს კიდევ არაფერი. როგორც დაგვარწმუნეს,

ქალაქის დეპუტატებს, როცა ფარნების გაკეთება გადუწყვეტიათ, მაშინვე დაუნიშნავთ ქალაქის შემოსავლიდამ თხუთმეტი მანათი თვეში ქუჩების გასანათებლად. მაგრამ აგერ, წელიწადი გადის, რაც ეს გარდაწყვეტილება დაადგინეს, ფარნები კიდეც დამართეს ქუჩებში, და ანთება კი არ ეღირსათ.

მაშ სად მიდის თვეში თხუთმეტი მანათი? ვსთქვათ, ეს ფული არ არის, გადადებული, მაშინ ,,პავილიონის“ ქირა მაინც რა საქმეზე იხარჯება? ურიგო არ იქნებოდა, რომ ამ კითხვის პასუხი შეგვეტყოს ვისგანაც ჯერ არს.

═ წარსულს ზამთარში, გვწერენ იქიდამვე, ერთი ვაი-ვაგლახი ააყენეს «დეპოს» დაარსებაზე ქ. სიღნაღში; წესდება შეადგინეს, დასამტკიცებლადაც გაგზავნესო, მაგრამ არ გამოდგა და, შესწორებული, უკანვე მოუვიდათ. ეს წესდება გადაასწორეს და ხელ-მეორედ დასამტკიცებლადვე გაგზავნესო, მაგრამ აგერ მეორე ზამთარი მოვიდა და სიღნაღში „დეპოს“ ჩამი-ჩუმიც არსად არის. დაღონებულმა სიღნაღელებმა გასამხიარულებლად ახლა სხვა საქმე მოიგონეს; გამართეს ხელის-მოწერა და საკუთარი მუსიკის დაბარება უნდათ დაღვრემილის ქალაქისა და მოწყენილის კლუბის გასართობლადო.

უნდა ვსთქვათ, რომ თუ სიღნაღელებმა ისეთი საქმე ვერ მოაგვარეს, როგორიც არის დეპო, სამაგიეროდ ამ ზამთარს მათ სხვა გვარი საერო დაწესებულება შეემატა, ეს დაწესებულება გახლავსთ: ,,Товарищество Алеко и К°. მიგვილოცნია სიღნაღელებისათვის ეს ბედნიერება!..

═ დაუჯერებელი ცნობანი მოგვდის რედაქციაში ყვავილის შესახებ: «როგორც გავიგეთ, გვწერს ერთი ჩვენი კორესპონდენტთაგანი ამ ორს თვეში წინა-მხარში ყვავილისაგან 3000 სული ყოფილა ავად; ამათგან ათასზედ მეტი გარდაცვლილა, დანარჩენთაგანნი, ზოგი კიდევ ავად არის. მორჩენილების რიცხვი მცირე ნაწილს შეადგენს; ყვავილი ჯერ-ჯერობით კიდევ ვრცელდება და მისუსტების ნიშანს არ იჩენს. ამცრელები ერთგულად მოქმედობენ და არ ვიცით, ღმერთი რას ინებებს.

═ იქიდამვე გვწერენ: წმინდა-ნინოს ტაძარი სიღნაღს მშვენიერი გზა ტკეცილით შეუერთეს. მლოცავთ აქამდე არ შეეძლოთ ურმით მისულიყვნენ ეკლესიაში. გზას ქვიშის დაყრა აკლია და საჭიროა, მინამ ავდარს დაიწყებდეს, ქვიშა დაეყაროს, რომ დღეობაში მიმავალს, იანვრის 14-ს, ხალხს ასცილდეს ისევ ბილიკით სიარული.

═ გაზ. ,,კავკაზს“ შეუტყვია, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ზოგიერთ მოსამსახურეთ კიდეც მიუღიათ ქაღალდი იმის შესახებ, რომ ისინი მომავალ 1885 წლიდამ შტატს გარეშე რჩებიან. ამ ცნობას გაზეთი უმატებს, რომ ხარჯთ-აღრიცხვა მომავლის წლისათვის ჯერ არ დაუმტკიცებია აქციონერთა კრებას, რომელიც ამ თვის 15 უნდა მოხდესო.

═ დეკემბრის 10 დანიშნული იყო ამორჩევა საქალაქო გამგეობის წევრისა, ბ. იზმაილოვის სამაგიეროდ, რომელმაც რიგისამებრ უნდა დაანებოს თავი თავის ადგილს. ეს ამორჩევა გადაუდვიათ საბჭოს შემდეგის სხდომებისათვის, რადგან ამ დღეს არ შეკრებილა საკმაო რიცხვი ხმოსანთა.

═ გაზ. ,,ნორ-დარის“ სიტყვით სოფ. გიულაქარქში მომხდარა შემაძრწუნებელი მკვლელობა. ღვიძლ-მამას და დედი-ნაცვალს დაუხრჩვიათ თავიანთი ყმაწვილი ერთად-ერთი ქალი და გვამი კალოზე გადაუგდიათ. ოთხი დღის უკან ძაღლებს გამოუთრევიათ ეს გვამი, საზარლად დაგლეჯილი და დამახინჯებული. ბოროტ-მოქმედნი, მკვლელნი შვილისა, დატუსაღებულნი არიანო.

═ დუშეთის მაზრიდამ საჩივარსა სწერენ გაზ. ,,ნოვ. ობოზრენიეს“ იქაურ მეტყევეებზე. ეს მეტყევეები სწორედ ყაჩაღები თურმე არიან; ისე საშინლად და ულმერთოდ სცარცვამენ ხალხს, ახდევინებენ ჯარიმას და სხვ., რომ სულის დგმა აღარ არის იმათგანაო.

═ ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო გადმობეჭდილი ,,ბაქოს უწყებებიდამ“ ცნობა ნავთოსნის მიწების შესახებ, რომელნიც უმაღლესად ებოძათ სხვადა-სხვა პირთა და რომელნიც ამ უკანასკნელს დროს ხშირად იყიდებიან, ან იჯარით არიან მიცემულნიო. გაზეთი ამბობდა, რომ სხვათა შორის გენ. ამილახვარმა გაჰყიდა წინედ 2 დესეტინა და ახლა კიდევ 3 დესეტინაო. ეხლა ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ეს ცნობა გაზეთისა შეცდომა არის და რომ გენ. ამილახვარს კი არ გაუყიდნია თავისი ნავთოსანი მიწები, არამედ იჯარით გაუცია რამდენიმე წლით.

„დროების“ კორესპონდენციები

ართვინი, გიორგობისთვის 20-ს. წარსულის თვის 30-ს ართვინის მაზრაში სოფ. სვეტის ახლო გზაზე იპოვეს გვამი იმავე სოფლის მცხოვრების 27 წლის ქალისა სეერა ბულ-ახმედ-კიზისა, რომლის მკვლელობაც ჰბრალდება ამავე ქალის ძმას ჭიამილ-ბულ-ახმედ-ოღლის. ჭიამილ-ბულ-ახმედ-ოღლი ამ საოცარის შემთხვევის შემდეგ გაქცეული არის.

პოლიციის გამოძიებით აღმოჩნდა, რომ მოხსენებული სეერა სტუმრად ყოფილა თავის ნათესავთან მოლლა მამედასთან, რომელიც სცხოვრებს სოფ. ლომაშენში. იმავე თვის 29-ს ზემოხსენებული ჭიამილა თავის ამხანაგით სულო-მახმედ-ოღლით მისულიყო მოლლა მამედასთან თავის დის სეერას წამოსაყვანად; იმ ღამეს მოკლულის ძმა და ამ უკანასკნელის მეგობარი დარჩენილან მოლლის სახლში და მეორე დღეს დილით გამგზავრებულან სახლისაკენ ე. ი. სოფ. სვეტს; სეერაც ამათ გაჰყოლია. იმავე დღეს დილით საათის 11-ზე სეერა მკვდარი იპოვნეს სოფ. სვეტის ახლო. გამოძიებით ჯერ არ აღმოჩენილა, რა მიზეზით მოჰკლეს სეერა, და ან რომელმა მოჰკლა იგი: თავისმავე ძმამ ჭიამილამ, თუ ამ უკანასკნელის ამხანაგმა სულო-მამედ-ოღლიმ, რომელიც ამ ჟამად დაჭერილია და დატუსაღებული და რომელიც თავის თავს მკვლელობაში დამნაშავედ არ აღიარებს.

აქ, ამ გვარი შემთხვევის დროს საზოგადოდ, რადგანაც ართვინის მაზრაში გამომძიებელი არ არის, ადგილობრივი ადმინისტრაცია აგროვებს ცნობებს და ადგენს პროტოკოლს, რომელსაც უგზავნის ბათუმის გამომძიებელს და ეს უკანასკნელი იბარებს მოწმებს, თუ სხვა პირთ, რომელთაც შეეხებათ საქმე და ბათუმში აწარმოებს გამოძიებას; ამის გამო ართვინის მაზრის მცხოვრებნი დიდ შეწუხებაში არიან, მომეტებულად ზამთრის განმავლობაში, რადგანაც ართვინი საკმაოდ შორს არის ბათუმზე. წარმოიდგინეთ, რომ ამ საწყალ ხალხს ცალკე რამდენჯერმე იბარებს გამომძიებელი ბათუმში და შემდეგ, საქმის გარჩევის დროს, ქუთაისის ოლქის სასამართლო ქუთაისში. ბევრნი მოწამეთაგანი გამომძიებელთან თავის ჩვენებას ან ამრუდებენ და ან სრულებით არას ამბობენ, იმ იმედით, რომ უკეთუ გამომძიებელთან ნამდვილი ჩვენება არ მივეცი, ოლქის სასამართლო საჭიროდ აღარ დაინახავს მეორედ ჩვენების ჩამორთმევასაო და ამით განვთავისუფლდები ქუთაისში წასვლისაგანაო. მაგრამ მათი აზრი და მათი იმედი, რასაკვირველია, არ გამართლდება ხოლმე.

მხოლოდ ზემოდ მოხსენებულის სეერას საქმის გამო, მოწამეთა სასიხარულოდ, ეს წესი შეიცვალა. ბათუმის გამომძიებელი თ. მ—ძე ძველი თუ ახალი საქმეების გამოსაძიებლად თავადვე მოვიდა და პირველადვე შეუდგა სეერას საქმის გამოძიებას. მოწმად სხვათა შორის დაბარებული იყო სეერას დედაც ბულიშანა, რომელიც საკმაოდ მოხუცებული არის; ამას, ჩვენების დროს, გამომძიებელისათვის გამოუცხადებია, რომ, უკეთუ პირობას მომცემთ და ამ საქმის გამო ბათუმში და ან ქუთაისში აღარ დამიბარებთ, ყველასფერს ნამდვილს ვილაპარაკებ და თუ არა,—მე ამ საქმისას არასფერს ვიტყვიო.

უფრო მომეტებულ შეწუხებაში არის, ამ გვარ შემთხვევებში არდანუჯის მაზრის ხალხი და შავშეთ—იმერხევის მცხოვრებნი, რადგანაც ეს მაზრები უფრო დაშორებულნი არიან ბათუმზე, ვიდრე ართვინის მაზრა.

მე ვგონებ, ურიგო არ იქმნება, ვისაც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ ხალხის შეწუხებას და ერთი გამომძიებელი ცალკე დაუნიშნოს ართვინის მაზრას, მაგრამ კიდე უმჯობესი იქმნება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს დროებითი განყოფილებაც წელიწადში ერთხელ მაინც ეწვიოს ხოლმე ამ მაზრას და ადგილობრივ გაარჩიოს ყოველი საქმეები.

ართვინელი.

---

ქუთაისი, დეკემბრის 8-ს. ქუთათურები წლევანდელ შემოდგომას ვერ დავემდურებით. ზაფხულმა თუ ხშირი წვიმებით შეგვაწუხა, მაგიერად შემოდგომამ გვასიამოვნა კარგი ტაროსებით. ხალხის სისაღის შესახებაც საყვედური არ გვეთქმის: არ გაგვიგონია ჩივილი არავითარ ავადმყოფობაზე. მოწმენდილი ცა, თბილი ჰავა და ხმელი ჰაერი სასარგებლოდ მოქმედობდენ კაცის ჯან-მრთელობაზე. ზამთარიც კარგი ამინდით დაიწყო.

ამ თვის სამს პრინც ოლდენბურგის თაოსნობით გაიმართა მარულა. ხალხი ბლომად დაესწრო; კიდევ უფრო მეტი იქმნებოდა, რომ უქმე დღე ყოფილიყო. ვგონებთ, შემოსავალი ვერ დაფარვიდა გასავალსა. ამ დოღში ჩვენ გაგვაკვირვა ერთმა ცხენოსანმა, თორმეტი წლის აფხაზმა. მარდად იჯდა ბავშვი — აფხაზი ცხენზე, მარდად აჭენებდა და თან მარდად დაჰკიჟინებდა მას. პრიზი არ აუღია პატარა ცხენოსანს, მაგრამ ვაჟკაცობის სახელი-კი დაიმსახურა. ამბობენ — პრინც ოლდენბურგისას აქვსო განზრახვა ყოველ წლობით. გაიმართოსო ქუთაისში დოღი. დოღი სასარგებლო რამეა და ამისათვის სრულის მადლობის ღირსია მათი უმაღლესობა.

---

ბლდანელის ჭიდაობამ აალაპარაკა მთელი ქუთაისი. ჭიდაობა მოსაწონია; ხალხს ავარჯიშებს ფიზიკურად, მაგრამ ამ სახალხო გართობას უნდა ჰქონდეს; ხალხურივე ხასიათი, ჭიდაობა, ბურთაობა და სხვ. სახალხო გართობანი ჩვენში უსასყიდლო იყო და დღესაც ასე უნდა იყოს, რომ რამე სარგებლობა მოუტანოს ხალხს.

---

რამდენჯერმე ცეცხლი გაჩნდა აქ. დროთი მიეშველენ და ზარალი დიდი არ უნდა ყოფილიყო არსად.

---

თავდება წელიწადი. ღმერთმა მშვიდობის გზა მისცეს—ვერაფერ ხეირს შეგვყარა. რა ვნახეთ? ქოტრობა, უთანხმობა, შური, სასწავლებლებში უვაკანსიობა, ბანკის მოვალეთა საქმის აწეწ-დაწეწა, სილარიბე, ხმოსანთა განსვენება, ქუჩების და ბაზრების უსუფთაობა, და სხვა-და სხვა... ვაიმეორებ — ღმერთმა მშვიდობა მიანიჭოს ამ წელიწადს.

ალ. აკ.

## უცხოეთი.

—

**საფრანგეთი.** ლონდონში თითქოს არა სჯერათ, რომ საფრანგეთმა გაბედოს ჩინეთთან ომის გამოცხადება. ასტყდება, თუ არა ეს ომიო, დანარჩენნი სახემწიფონი უეჭველად ნეიტრალიტეტს გამოაცხადებენო და საფრანგეთის გემებსაც აღარ მისცემენ ნებას კვლავ ისარგებლონ ჰონკონგის ქვა-ნახშირითაო, რაც მოსალოდნელის ომისათვის მიუცილებელს საჭიროებას შეადგენსო.

ჩინეთის გაზეთები იწერებიან, რომ ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ჩინეთის სატახტო ქალაქს პეკინში გადასწყვიტეს შეკრება და მოლაპარაკება იმ ღონის-ძიების მოსაპოებლად, რომლითაც შეიძლებოდეს მორიგება საფრანგეთისა და ჩინეთისა.

—

**ინგლისი.** ინგლისმა ახალს პირს ჩააბარა მმართველობა თვისის სამფლობელო ინდოსტანისა. ეს პირია ლორდ დიუფერინი, რომლის დანიშვნას ინდოსტანის ვიცე-კოროლად ძლიერ სასარგებლოდ რაცხვენ ინგლისში. ლორდ დიუფერინი დაახლოებით მცოდნეა რუსის პოლიტიკისა. ინგლისის სამფლობელოს ინდოსტანს საზღვრენ რუსეთის სამფლობელონი და ამის გამო, ვინიცობაა, შემთხვევა რამ იქნეს, დიდად გამოსადეგი იქმნება რუსის პოლიტიკასთან გაცნობილი კაცი.—მაგრამ ამ გარეშე პოლიტიკის გარდა—დიდის სიფრთხილით მოქცევა მართებს ახალს ვიცე-კოროლს ინდოსტანის შინაგან პოლიტიკისაც. ინდოსტანი ეხლა ის აღარ არის, რაც ადრე იყო, სწერს გაზ. „დაილი ნეუსი“. თითქმის ყოველის მხრივ შეგნებული შეიქმნა ეს ქვეყანა და მასში მცხოვრებთ ეხლა ისე ველარ მოეპყრობი, როგორადაც დამონავებულ ხალხსო. ძნელია, რომ ერთსა და იმავე დროს დაკმაყოფილდეს ამ ხალხის მოთხოვნილებაც და მისი მფლობელის, ინგლისის, სურვილითაც ხელმძღვანელობდეს. ეს ვერ შესძლო დიუფერინის წინა-მოადგილემ რიპონმა და ვადაზედ ადრე დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდამ.

ინდოსტანელებისაგან მადლობა და პატივისცემა გაჰყვა რიპონს და მთავრობისაგან-კი, ინდოსტანში მცხოვრებ ინგლისელებს ჩაგეზლების წყალობით, სამდურავი.

—

თუმცა ინგლისის კოროლევის სასახლის მცველები გაამრავლეს, მაგრამ კოროლევა იმდენად შეაშინა ამ უკანასკნელ ხანებში ვიღაც საეჭვო პირების ხშირად ავლა-ჩამოვლამ სასახლის მახლობლად, რომ განზრახვა აქვს მომავალის დღესასწაულების შემდეგ ოსბორნში გადავიდეს, კუნძ. უაიტზე.

ლორდთა პალატის ერთს წევრს განუცხადებია, რომ პარლამენტის მომავალ სხდომებზედ ის მიაქცევს პალატის ყურადღებას სოციალიზმის გავრცელებას ინგლისში. ეს წევრის განზრახვა რაკი გახმაურებულა, რამდენიმე კავშირს სოციალისტებისას გადაუწყვეტიათ შეადგინონ დაწვრილებითი ცნობანი თავიანთ შეძლება—ძალაზე, განმარტონ პროგრამა თვისს მოქმედებათა, ყოველივე ეს წარუდგინონ ხსენებულს წევრს და სთხოვონ მას გადასცეს ყველა ეს ცნობანი თავის ამხანაგებს პარლამენტში.

---

### ხალხური ლექსები

კახეთში გაგონილი.

**I**

შამილი გადმოერევა
პირველ მკათათვის დღესაო,
სახლებსა სწვავენ და დაგვენ,
ვაჟ-კაცებს სჭრიან ყელსაო.

—

ქალი და რძალი წაასხეს—
გადაუყენეს მთებსაო:
შერეკენ ერთსა საყდარში,
გამოუკეტენ კარსაო.

—

ბელადი ეუბნებოდა:
—„მე გიბელადეთ დღესაო,
საბელადოს გამოგართმევთ,
შიგ ამოვარჩევ ერთსაო“.

—

შევიდა გამოარჩია,
ღამეს ანათებს ბნელსაო:
—«შენი ჭირიმე ლამაზო,
ნუ მოიგონებ ძმებსაო,
ქელთამდინ ფულით აგავსებ,
გარს შემოგაყრი ვერცხლსაო!

—

—„შე წყეულო, ლეკის შვილო,
ეგ როგორი სიტყვა გაქვსო?..
. . . . . . . . . .
. . . . . . . . . .
ძმებსა დამიჭერ ყელები,
მამას დამიკარ ხრმალიო,
როგორ არ მომაგონდება
ვაჟ-კაცი ჩემი ქმარიო?!“

**II**

ასე ჰგონია დუშმანსა—
არცა ხვნენ, არცა სთესვენო,
არცა უბიათ ხარები,
არცა კალოსა ლეწვენო.

**III**

ქამბეჩი წევს და იცოხნის,
თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში დაფლული ურემი—
შინ მიტანილი ჰგონია.

**VI**

დასხდებიან ჩვენი მტრები
ჩვენსას რასმე განაგებენ,
ჩვენზედ ამოღებულს ხრმალსა
ხელ უკულმა ჩააგებენ.

---

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

დეკემბრის 12.

**პეტერბურგი.** როგორც ისმის, სამკვიდროებზე დადგენილის გადასახადის წესი უნდა შეიცვალოს. თუ რომ მემკვიდრენი ვერ შესძლებენ გადასახადის ზღვევას, იმ შემთხვევაში ხვედრი გადასახადი სამკვიდროდამ იქმნება აღებული.

**«ს.-პეტრბ. უწყებანი»** იწერებიან, ხმებიაო, რომ მიღებულ იქმნეს ზომები კატორგაში გაგზავნილ ავაზაკების გაქცევის წინააღმდეგ.

**ოდესა.** სმირნაში არსებული აქციონერთა კამპანია აგებს რეზერვუარებს ბაქოს ნავთისათვის, რომ აქედამ გაგზავნოს შემდეგ ოსმალეთის, საბერძნეთის და ეგვიპტის ნავთ-სადგურებში.

---

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 ასსათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობას წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

---

**სააავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი,** ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა,** სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი,** ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა,** სამშაბათობით.

**ბაგინოვისა,** ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა,** ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

---

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 დეკემბრიდამ 16 დეკემბრამდე 1885 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— — | —1 გირ. | 5 კ. |
| **აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა—** | —1 გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 გ. | 2 კ. |
| **იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:** | | |
| პირველი ხარისხის | —1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 გ. | $2^1/_2$ |
| **ჭვავის-მამი პური:** | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 გ. | 3 კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 7 კ. |
| მეორისა — — | —1 გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 7 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 7 კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | 6 კ. |

---

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდის
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

**ელისო**

მოთხრობა ძველთ ცხოვრებიდგან

თხზულება

ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო კასაში ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობლოვთან; თელავში: ბატ. ვ. როსტომაშვილთან.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი:
ელგუჯა, ისტორიული მოთხრობა. არსენა, დრამა 3-ს მოქმედებად. ღილა ქორწილის შემდეგ, ვოდ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის“ პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20—9)

---

### რვეულები

ქართული წერისათვის, სახმარებელი ბოგვაშვილის დედანთან, ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და სარქისოვისაში. ფასი რვეულისა (ორ-თაბახ ნახევარი, ყდის გარდა) ერთი შაური. (5—5)

---

**ОБЪ ИЗДАНИ ВЪ 1885 ГОДУ ЖУРНАЛА**

# „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(ГОДЪ ПЯТЫЙ)

**Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:**

I. Статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теоріи права и судопроизводства.—II. Перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.—III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края.—IV Корреспонденціи юридическаго содержанія.—V. Краткіе отчеты о новыхъ книгахъ юридическаго содержанія (Обзоръ юридической печати и библіографія).—VI. Смѣсь (разныя извѣстія). Случаи изъ судебной жизни и практики.—VII. Тезисы и текстуальное изложеніе кассаціонныхъ рѣшеній: а) департаментовъ сената и б) Тифлисской судебной палаты.—VIII. Извлеченіе изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи.—IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ.—X. Объявленія—казенныя и частныя.

Выполнивъ, по возможности, свои прошлогодніе обѣщанія предъ читателями, редакція „Юрид. Обозр.“ постарается придать своему журналу въ будущемъ году еще большій интересъ, при содѣйствіи многихъ и нѣкоторыхъ новыхъ сотрудниковъ.

Кромѣ статей общаго юридическаго характера по вопросамъ гражданскаго и уголовнаго права, межевымъ, нотаріальнымъ, судебно военнымъ и пр., а также о внутренней жизни кавказскихъ судовъ и о вопросахъ дня,—въ 1885 г. будутъ помѣщены: грузинскіе законы царя Вахтанга, съ необходимыми предисловіемъ и примѣчаніями, и продолжены изслѣдованія законовъ: армянскихъ—по Мхитару Гошу, еврейскихъ—по Маймониду, мусульманскихъ, собственно Кавказскихъ народностей ихъ адаты и пр.

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:**

Редакція и администрація журнала (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. Меликова.

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 20 к.; на 1 мѣс.—1 р. 25 к.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.

Для гг. студентовъ плата 8 р., полугод вая—5 р.

Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе года, уплачиваютъ: за 1881 г.—8 р. 20 к. и за всѣ послѣдующіе по 10 руб. за годовой экземпляръ.

При перемѣнѣ адреса вносятъ 40 к.

За объявленія, казенныя и частныя—строка петита 10 коп., $1/2$ страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 руб 50 коп.

*При доставленіи въ редакцію „Юридическаго Обозрѣнія“ экземпляра юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація.*

*Подписчики „Юрид. Об.“ имѣютъ право на полученіе, черезъ редакцію, свѣдѣній о положеній ихъ дѣлъ въ Тиф. судеб. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмедно, а письменныя и телеграфныя—по соглашенію съ ред. журнала.*

Редакторъ-издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.

(7—5).

---

# ОТКРЫТА ПОДПИСКА
## НА ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ
# „ТИФЛИССКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“
## НА 1885 ГОДЪ
(ВОСЬМОЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:**

Въ Тифлисѣ, съ доставкою на домъ. . . 3 руб. } На годъ.
Иногороднымъ съ пересылкою. . . 4 руб. 20 к. } На годъ.

**Цѣна отдѣльнаго номера газеты 3 коп.**

Подписка принимается исключительно въ конторѣ редакціи „Тифлисскихъ Объявленіи“, на Барятинской улицѣ, въ домѣ Ротинова (бывшій Бѣлаго), ежедневно, кромѣ воскресныхъ и праздничныхъ дней, съ 10 ч. утра, до 2 час. пополудни, и съ 5 до 8 час. вечера.

Иногородные адресуютъ свои требованія въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Тифлисскія Объявленія“. Редакторъ-Издатель І. Б. Поповъ.

(3—1)

---

მომზადება და გასყიდვა ხსენებულის წასასმელის წამლისა, რომელშიაც არა ვითარი კაცის ჯანისათვის მავნებელი ნავთიერება არ ურევია, ნება—დართულია მოსკოვის საექიმო მმართველობისაგან საერთო სავაჭრო წესით.

„პერუინი“

წვენი პერუვიულ საბალზამო მცენარეთაგან, დიდის ხნიდამვე ყველა ქვეყნებში ცნობილი საშუალება.

**ხშირის და ლამაზის წვერის გასაზრდელად.**

წვენი, რომელსაც ამზადებენ პერუვიანელ მცენარეთაგან, როგორც ვიცით, ზოგიერთა თმის საზრდელ და თმაზე წასასმელ წამლების არევით, იღებს შესანიშნავს თვისებას წვერის თმის ძირის გამაგრებისთვის და საკვირველად სწრაფად ეხმარება მის ზრდას.

ეს საშუალება ისეთი ნამდვილი საშუალებაა,

რომ პერუინის ხმარებით თვით ახალ-გაზრდა ყმაწვილებსაც კი რამდენსამე კვირის შემდეგ, ეზრდებათ მშვენიერი და ხშირი წვერი.

მრავალი სამადლობელი წერილები.

მოწმობენ განსაცვიფრებელს მოქმედებას, ფასი შუშისა 1 მან. 50 კაპ. გაგზავნით ისყიდება რუსეთის ყველა სააფთეკო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის თბილისში საზოგადოება სააფთიექო საქონლით და მასალით ვაჭრობასა და მისი განყოფილება ბაქოში. Ц. 19,475.

(10—5)

---

რამაშკა ბურელისა

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. შრიჭინებს, პრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაშკა ბურელის“ ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის არის თბილისში „კავკასიის საზოგადოება სააფთიაქო საქონლით ვაჭრობისა და მის განყოფილებში ბაქოს. Ц. 19,485

(25—5)

Доз. ценз. Тифлисъ, 12 Декабря 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.